

# ენა

კორქაია-სამბადაშვილი

ვინ მოუწოდა  
ჩაიხუტა?



ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

ავტორი მადლობას უხდის:

გუგა კოტეტიშვილს

ლადო ფოჩხუას

ლიზა იგენს

გურამ ნიბახაშვილს

თინათინ ქავთარაძეს

ეველინა ტაუნიტეს

ლაშა მდინარაძეს

გიგი თევზაძეს

პაატა საბელაშვილს

ოლლა სიდორს

სელმა ლაგერლოფს

ელენა მარტინეზ რუბიოს

ედუარდ რენე ლეფევრ დე ლაბულეს

და მარიამ სამადაშვილს, მამოს.

დედიკო, ჩემო დედა, მიშველე რამე,  
მიშველე რამე, დედიკო, ჩემო დედა...

ურნმუნო ობლის ლოცვა

## შესავალი

კვირადღეს, ალიონზე, ქუჩაში მხოლოდ მეეზოვეები, საყვარლის სახლიდან გამოსული მამაკაცები და ეკლესიური გოგოები დადიან. და ძაღლების პატრონები.

თეზო ძაღლის პატრონი იყო.

ათი წლის წინათ თეზომ აღმოაჩინა, რომ თმა სცვიოდა და სუქდებოდა. მას ეს არ მოეწონა. მელოტი და ლიპიანი. თეზომ იფიქრა, რომ ამას ვერ გადაიტანდა.

თეზომ გაიფართხალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – გაცვენილი თმა ვერ დაიბრუნა. ამიტომ მან თავი გადაიპარსა.

ჭარბ წონასთან საბრძოლველად თეზომ ძაღლი იყიდა, იმის იმედად, რომ ძაღლის სიყვარულით ადრე ადგებოდა და ბევრს ივლიდა, ან, სულაც, ირბენდა. აქაც დამარცხდა: ძაღლის პატრონი მისი ცოლი გახდა. ის რუსულ სპანიელ პეპის „დედიკოს“ ეძახდა, თავს ევლებოდა და, რასაკვირველია, თავად ასეირნებდა. სულ ცოტა ხანში პეპიც ძალიან გასუქდა და ისე გაზარმაცდა, რომ სეირნობა აღარ უხაროდა.

თეზოს კი პეპის ყურება აღარ უხაროდა. როცა ცოლი დაორსულდა, თეზოს იმედი მიეცა, ძალღს მოვიცილებო, მაგრამ ტყუილად – დედიკომ არ დათმო. ძაღლის მიმართ სიყვარული ქაღს არც მეორე შვილის გაჩენის შემდეგ განელებია, და ცხოვრობდნენ ასე: თეზო, მისი ცოლი, აქსელერატი თინიკო, პატარა ლიზიკო და მსუქანი, კატარაქტიანი და ზარმაცი პეპი.

ის დიღა თეზოსთვის მძიმე დიღა იყო. „დიდი გოგობი“ დასასვენებლად ზღვაზე გაემგზავრნენ და მას დაუტოვეს ლიზიკო და პეპი, რომლებიც იმ საღამოს ბეზოს თავისთან, აგარაკზე უნდა წაეყვანა. თეზო თავს იმშვიდებდა, ერთი დღე რაღაა, გავუძლებო, მაგრამ მაინც უგუნებოდ იყო. არა, ლიზიკოც ძაღიან უყვარდა და არც პეპისი ეშინოდა, მაგრამ მაინც...

ირიჟრაჟა და პეპიმ კართან ნკავნკავი დაინყო.

„მოითმენს“, გაიფიქრა თეზომ, რომელსაც იმ დიღას ძაღიან ცუდად ეძინა.

პეპი სხვა აზრისა იყო და თავისი გაიტანა: თეზო ადგა. სანამ სუფთა მაისური მოძებნა, სანამ ფეხსაცმლის თასმები შეიკრა, სანამ ძაღლის საყელურს მიაგნო, ლიზიკომაც გაიღვიძა. ის შემოსასვლელში გამოვიდა, თავისი ხნისა და გარეგნობის ბავშვისთვის მოულოდნელად ბოხი ხმით გამოაცხადა, მეც მინდა გასეირნებო, და ფეხზე თეზოზე სწრაფად ჩაიცვა.

რა გაენყობოდა: თეზო, ლიზიკო და პეპი სახლიდან ერთად გავიდნენ.

– ისე, ეგ რად გინდა? – ჰკითხა ლიზიკომ და მამას ძაღლის საყელურზე მიუთითა.

– ჩავალთ და გავუკეთებ, – უპასუხა თეზომ, – რომ არ გაიქცეს.

– ვინა, პეპი? – გაეცინა ლიზიკოს.

თეზომ ძალს გახედა.

„ეგეც მართალია...“ – გაიფიქრა თეზომ, მაგრამ ასე იოლად არ გატყდა: – მაინც იყოს, – უპასუხა ლიზიკოს.

ლიზიკომ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

შორს არ წასულან: ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სასწა-  
ულით გადარჩენილი სამსართულიანი სახლის წინ, პეპიმ  
ბებერი აკაციის ქვეშ ჩაიცუცქა.

თეზო განზე დადგა. რატომღაც, შერცხვა.

„კიდევ კარგი, ქუჩაში არავინაა“, – გაიფიქრა.

იღგა თეზო, სახლს ათვალიერებდა და ფიქრობდა – მერე  
გაახსენდა, რომ იმ დილას რაღაც სხვანაირად ფიქრობდა,  
როგორც ცოლს უთხრა, „სიტყვებით“:

„ეს მალე დაინგრევა. დაანგრევენ ამას. არადა, კაცმა  
რომ მიხედოს, კოხტა რამეა. ვინ მიხედავს... დაინგრევა“.

– მამა!

თეზო ფიქრებიდან გამოერკვა.

ლიზიკო ფანჯარასთან იდგა, ხელები გისოსისთვის ჩაე-  
ვლო და შიგნით იყურებოდა.

თეზოს კიდევ უფრო შერცხვა.

– გამოდი, გოგო! – და ბავშვისკენ გაეშურა.

– მამა, ნახე! – ლიზიკო ფანჯარას არ სწყდებოდა, – მა,  
ქალი ნევს! აგდია! აუ, რას ჰვავს, ნახე, მა!

## პიჩვანი თავი

ვატო შესვლისთანავე მიხვდა, რომ ცუდ სახლში ამოყო თავი. თითქოს არაფერი ხდებოდა, რაც სხვა მოკლულების ბინებში არ მომხდარა – ქალი მოკლეს, მეტი რაღა! მაგრამ მაინც. რაღაც განსაკუთრებით არ სიამოვნებდა.

„დამეჯერებინა ამ ნატოსთვის, – გაიფიქრა ვახტანგმა, – თურქეთში ჩემ ფეხებს დამირეკავდნენ...“

ბინას წინკარი არ ჰქონდა: კარს გააღებდი და უმაღვე გრძელ, დაბალჭერიან ოთახში ამოყოფდი თავს. ვახტანგს უთხრეს, რომ კარი ღია დახვდათ. საკეტსაც საკეტი არ ეთქმოდა – მცოდნე კაცი დანის პირითაც გააღებდა.

ოთახში შემინული წიგნის კარადა იდგა, ძველი და გაუბედურებული – წინა ფეხი აკლდა და მის ნაცვლად წიგნები შეეწყოთ. ვატომ რატომღაც ჩაიცუცქა, თვალი მოჭუტა და ნაიკითხა: ლიონ ფოიხტვანგერი.

შუა ოთახში – მრგვალი მაგიდა, მაგიდაზე – თეთრი სუფრა, ზედ – ხილით სავსე სინი და რაღაც წვრილმანები.

„ეს – მერე“, გაიფიქრა ჯერაც კარში მდგომმა ვახტანგმა.

საათი წიკნიკებდა. ძველი, იაფფასიანი საათი იყო, ქანქარიანი, ზედ კატა ათამაშებდა თვალებს: წიკ-წიკ, წიკ-წიკ. ცალი თუჯის გირჩა აკლდა და მის ნაცვლად ძველი ბოქლომი ჩამოეკიდათ.

ოთახს ორი გისოსიანი ფანჯრიდან შემოსული მზე

ანათებდა. როგორც ჩანს, ბავშვმა აქედან შემოიხედა. ამ დილაუთენიაც ძალიან ცხელოდა. რაფებზე უამრავი ქოთანი იდგა, ზოგში ყვავილები ხარობდა, ზოგში ათასგვარი სისულელე ენყო – დანა-ჩანგალი, ქალაღის გრაგნილები და მსგავსები.

„მერე“.

შემოსასვლელი კარის გვერდით, გაქუცულ ხავერდის დივანზე, ბალიშები ეყარა და წიგნი იდო, ისიც გაქუცული, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, ძველი გამოცემა – ასეთი ბავშვობაში ვახტანგსაც ჰქონდა, ოღონდ არ წაუკითხავს.

ფანჯარასთან სავარძელი იდგა და ზედ ახალგარეცხილი თეთრეული იყო დახვავებული. ფანჯრებშუა ჩარჩოში ჩასმული ფოტო ეკიდა.

„მერე“, – კვლავ გაიფიქრა ვატომ.

იქით გახედვა ჯერ არ უნდოდა. იქით, ხელმარჯვნივ, ოთახიდან გამავალ ერთ-ერთ კართან, კაცები ტრიალებდნენ. ვატოს იქ მისვლის პერსპექტივა გულს უხეთქავდა.

როცა მანქანიდან გადმოვიდა, სერგომ აუხსნა:

– უთოთი მოკლეს. თავში ჩაარტყეს. უთოც იქვე დააგდეს.

ვატოს კი სისხლის ეშინოდა. არა, ის კი არა, რომ ეშინოდა, არა. უბრალოდ, სისხლის დანახვებზე გული ერეოდა და ამის ეშინოდა.

„ვარწყევ“, – ფიქრობდა ვატო და უკვე გული ერეოდა.

– აი, – სერგომ საქალაღდე გაუწოდა, ძველებური, მუყაოს გარეკანზე „სწრაფჩამკერი“ ეწერა. ვატომ გადაშალა. ძალიან ლამაზი ასოები იყო, პირველი სიტყვა, სათაური, განსაკუთრებული მონდომებით გამოეყვანათ:

„ანდერძი“.

სერგოს მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება

ვატოს გულს ურევდა. ეცადა, განზე არ გაეხედა, ისე გადაჭრა ოთახი, პატარა საძინებლის კარი შეაღო, ფანჯარასთან დადგა და კითხვა დაიწყო.

„იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ძმა, დიმიტრი მ., იშვიათი არამზადაა (ეს აუცილებლად უთხარი), და დანამდვილებით ვიცი, რომ შიმშილით და სიცივით სიკვდილი არ ემუქრება, და არც მისი, ჩემი აღსასრულის მოლოდინში გატრუნული, მამის დარად არამზადა შვილები მეხატება გულზე, და იმის გათვალისწინებითაც, რომ ადამიანი (ამ შემთხვევაში, მე, ელისაბედ მ.) მოკვდავი და თან, როგორც ერთი შესანიშნავი კაცი (თუ არსება, თუ ვინცაა) იტყოდა, მოულოდნელად მოკვდავია, ვნერ ანდერძს. როგორც მონდომებულნი დაასკვნიან, ნამდვილად მე ვნერ (იხილეთ თუნდაც ჩემი ხელით გაკეთებული წარწერები წიგნებზე), ჩემ კვალობაზე საღ აზრზე მყოფი და სრულიად ფხიზელი – ამის დასტურად ჩემ საბუთებში აღმოაჩინეთ ცნობას, რომლის თანახმადაც ამ ტექსტის დაწერამდე ერთი თვით ადრე ძალღმა დამკბინა და ანტიტეტანუსი და ათასგვარი ნაგავი გამიკეთეს და რომც მინდოდეს, მთვრალი ვერ ვიქნები.

ზემოხსენებული მიზეზების გამო ახლავე ვაყალიბებ: ვინაიდან ჩემი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო უახლოეს, თუნდაც უდამპლეს ნათესავს, მაინც მისცემს ჩემი კუთვნილი ქონების 25 (ოცდახუთ) პროცენტს, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემ ძმას, დიმიტრი მ.-ს, გადაეცით (თუ გადაეცეს, როგორც თქვენ გულს გაუხარდება) ჩემი კუთვნილი აგარაკი ნიგოზაში, რომლის საბუთებსაც აქვე იხილავთ, და მას კი, სავარაუდოდ, ნოტარიუსს, რომელიც ამ სახლსა და კარ-მიდამოს გადაუფორმებს, ვუბარებ, პროცედურის დასრულების შემდეგ დიმიტრი მ.-ს უთხრას: „არამი იყოს შენზე, მათხოვარო“.



დარჩენილ ქონებას, მთელ ჩემ სარჩო-საბადებელს, ვუტოვებ ალექსანდრე თოდუას, რომელმაც ჩემი ცხოვრება დღესასწაულად გადააქცია და რომელსაც ნიგოზა მაინც სძულს, ამიტომ უმისობას ნამდვილად არ იდარდებს.

სად და როგორ დამმარხავთ – მკიდია.

პატივისცემით,

ელისაბედ მ.

და თარიღი და „ქალაქი თბილისი“.

„ქალი იდიოტია, – იფიქრა ვატომ, – ესლა მაკლდა“.

– საით, საით! – გაისმა სერგოს ღრიალი და ბევრი ცუდი სიტყვა.

ოთახში ბიჭი შემოვარდა. ვატო რომ დაინახა, ლოგინის თავთან დადგა.

„ესეც იდიოტია“, დაასკვნა ვატომ.

ახალგაზრდა კაცი, უფრო – ბიჭი, ერთი შეხედვით, არაფრით გამოირჩეოდა. მაგრამ ეს – ერთი შეხედვით, უფრო სწორად – შორიდან, სანამ კარგად დააკვირდებოდი.

ბიჭს, მაღალს, ჯანიანსა და გარუჯულს, ჰქონდა თითქმის პირწმინდად გადაპარსული თავი, ეცვა ჯინსი, შავი მაისური და კედები. თითქოს რა... მაგრამ ყურებში თვლები უბრჭყვიალებდა და თითებზე – ბექტები. მისი ჯინსი მეტისმეტად მოკლე და განიერი იყო, მაისური – პატარა, ამკარად მაკრატლით მოჭრილი სახელოებით. კედები შიშველ ფეხზე ეცვა. ეს უბრალოდ გარუჯული კი არა, დაუჯერებლად შავი არსება რა ჯიშის იყო, ვერ დაადგენდი. ყველაფერს უშველებელი ჩანთა აგვირგვინებდა – დიდი, შავი ტომარა, რომელზეც ათასგვარი სისულელე ეკიდა: მძივები, ჯაჭვები, ბუმბულები... შავი ამ თავის ტომარას გულში იკრავდა და სერგო რომ ეუბნებოდა, ლოგინზე დადეო, გამწარებით, უარით იქნევდა თავს. დიდი, შავი თვალები

ჰქონდა, ჰქონდა გრძელი წამნამებიც. ვატოს ჯერ გული გაუსკდა, იფიქრა, დახატულიაო, მაგრამ დახატული რომ არ იყო?!

ვატო გაეცნო. ბიჭი უყურებდა. არაფერს ამბობდა. იდგა, ჩანთას გულში იკრავდა და ვატოს შესცქეროდა. არც მტრულად, არც კეთილად. ძნელი სათქმელი იყო, საერთოდ, გაიგო რამე თუ არა.

„ვინ არის ეს ჩემისა?!“ იფიქრა ვატომ.

– თქვენი სახელი?

– გამიშვით აქედან, – თქვა ბიჭმა დაბალი ხმით, – ძალიან გთხოვთ, აქედან გამიყვანეთ. ძალიან ცუდად ვარ.

– კარგი, – უთხრა ვატომ და მკლავზე წაეტანა. ბიჭმა ხელი უცებ გამოსტაცა და ისევ ისე მიაჩერდა.

– წამობრძანდით! – ვატო ცოტა დაიბნა.

სერგოს ამდენი არ შეეძლო.

– წამო, ბიჭო! ე! – და მსუბუქად, მაგრამ მაინც, ხელი ჰკრა.

ბიჭი უცებ კენჭივით შეიკრა და ლოგინის თავთან ჩაი-ცუცქა, მოიკუნტა. ჩანთა ისევ ისე ჰქონდა გულში ჩაკრული, ოღონდ ახლა სახეც შიგ ჩამალა. თავზე სვირინგი გამოუჩნდა – მზე.

– ბიჭო!

მისაღები ოთახიდან ჩოჩქოლი გაისმა.

– ელიჩკა! ვახ, გოგო, ელიჩკა! – ყვიროდა ქალი და რაღაცას კიდევ მოსთქვამდა, რას – უცნობია, დამსწრეებს ის ენა არ ესმოდათ.

– ქალბატონო, არ შეიძლება! – დაიღრიალა სერგომ.

– ტომა! – იყვირა უცებ ბიჭმა, ელვის სისწრაფით წამოხტა, კართან მისულ სერგოს ხელი ჰკრა და მისაღებში გავარდა, – ტომა, მიშველე, ტომა!

– სანდრუხა! – იყვირა ქალმა.

ვატო ადგილს მოსწყდა. ილბალზე, ბევრი არაფერი იყო გასარბენი.

შუა ოთახში, მაგიდასთან, ქალი იდგა, ორმოცდაათიოდე წლისა, ზორბა, დიდი ტრაკით და გრძელი ცხვირით. ისიც ძალიან შავი იყო, ოღონდ გარუჯული არ ყოფილა – ღმერთმა გააჩინა ასეთი. მასაც ჯინსი და შავი მაისური ეცვა, და ჭაღარა თმა მასაც ძალიან მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ფეხებთან მასაც დიდი, შავი ჩანთა ეგდო.

„სექტაა, მე მოვკვდე“, გაიფიქრა ვატომ.

ქალი სანდროს ეხვეოდა და ვატოს ავად უყურებდა.

– ქალბატონო... – დაინყო ვატომ.

– ქალო, გადი აქედან! – დაუტატანა სერგომ.

– ე, что за нямдство? შენ ვინ ხარ? – შეუტია ქალმა ისე, რომ სანდროსთვის ხელი არ გაუშვია, – რა – გადი? მიდი და გადი! – ქალს ძალიან ცუდი ხმა ჰქონდა. ვატო შეიმშუმნა.

ქალი ტომა არ ჩუმდებოდა.

– ჰო, გადი! ვერ ხედავ, გოგო მკვდარია, ბიჭი გიჟია, წადი აქედან!

მერე სანდროს დახედა და ისევ აყვირდა:

– ვაიმე, ელიჩკა!

– კაი, – თქვა ვატომ, – კაი, კაი. ახლა გავჩუმდეთ და ყველანი გავიდეთ. კარგი?

– კარგი, – დაეთანხმა უცებ ტომა, თავის მკერდში თავჩარგულ სანდროს ზურგზე ხელი მოუსვა და ნაზად უთხრა: – შენ არ გასწორდე, ზადნითი ნავალ.

მართლაც, ასე გავიდნენ: ტომა – უკანსვლით, სანდრო – მასზე მოხვეული, თავაუნველად. მათ ადგილას მხოლოდ შავი ჩანთა დარჩა.

– ჩანთა, ქალბატონო! – მიაძახა ვატომ.

– წამოიდე, არ განყდები! – მოისმა შემოსასვლელიდან.

სადარბაზოში, როგორც იქნა, გაშველდნენ. ბიჭმა აკანკა-  
ლებული ხელით ტომას სიგარეტის კოლოფი გაუნოდა. იმან  
ორი ღერი ამოიღო, ერთი ბიჭს პირში ჩაუდო, და თავისი  
ჯინსის ჯიბიდან სანთებელა ამოაცოცა.

გააჩაღეს.

სერგომ მხრები აიჩეჩა და ბინაში დაბრუნდა. ვატო მათ-  
თან დარჩა.

– დამშვიდდი? – ჰკითხა ბიჭს.

ბიჭმა თავი დაუქნია.

– რა დაგემართა, ბიჭო?

ბიჭმა თავი გააქნია.

– რა გიდევეს ამისთანა მაგ ჩანთაში?

– უბორკას რაც უნდა, – უპასუხა ტომამ, – და ხალათი.

– თქვენ არა, – ვატო უკვე ძალიან გაღიზიანდა, – შენ.

– არაფერი, – დაიჩურჩულა სანდრომ და ჩანთას დახე-  
და, – ისე... აჰა, ტომ, ეს შენ.

– მე რად მინდა? – გაიკვირვა ტომამ.

– აბა, ელოს რაღად უნდა?

– რა ჯანდაბა გიდევეს, ბიჭო, მაგ ოხერ ჩანთაში? – დაუყ-  
ვირა კვლავ გამოსულმა სერგომ, – მომეცი აქ!

– აჰა! – უცებ ბიჭმა ჩანთა სერგოს ესროლა. ვატომ წა-  
მით იფიქრა, მოკლავსო, მაგრამ იქვე მიხვდა, რომ ეს უშვე-  
ლებელი ჩანთა ძალიან მსუბუქი იყო.

სერგომ ჩანთა დაიჭირა და ძირს დადო. ჩანთამ დაი-  
ჩხრიალა.

„ჯაჭვები და მძივები, – მიხვდა ვატო, – რა იდიოტიზმია“.

ჩანთას თავი ტომარასავით ჰქონდა მოკრული. სანამ  
სერგო ხსნიდა, სანდრო განზე იყურებოდა და გამწარებით  
ენეოდა. ხელეები აღარ უკანკალებდა. ტომამ სერგოს გვე-  
რდით ჩაიცუცქა.

– ფრთხილად, გაიგე? – უთხრა პოლიციელს.

სერგომ რალაც წაიბურტყუნა და ჩანთა პირდაპირ სადარბაზოს იატაკზე გადმოცალა. ტომამ უცხო ენაზე გრძელი წინადადება თქვა, ვატოს ვარაუდით, კარგი არაფერი, და მძიმედ წამოდგა.

ძირს ტანსაცმელი ეყარა, ფერადი, ბრჭყვიალა, მოცი-  
ალე. სერგო სათითაოდ იღებდა და ჩანთაში აბრუნებდა  
თვლებით მოქარგულ კაბებს, შიფონის ფუშფუშა ქვედა-  
ბოლოებს, აბრეშუმის შარფებს, ატლასის კორსეტებს...

– ეს – მე? – იკითხა ჩუმად ტომამ, – მე ეს რად მინდა?

– შენ გოგოებს ხომ უნდათ... – უპასუხა სანდრომ.

– ჰო... გაუსწორდებათ... რა ლამაზია... – ტომა ქსოვი-  
ლებს თვალს ვერ სწყვეტდა. მერე უცებ გამოფხიზლდა: – ე,  
ნელა ჩადე, ნელა! ე!

– შენ რად გინდოდა? – ჰკითხა ვატომ სანდროს, – ან  
ელისაბედს? საერთოდ, ეს რა არის?

– მთელი წელი ვაგროვებდი... – სანდრომ სიგარეტის  
ნამწვი კოლოფში ჩასრისა და კოლოფი კვლავ ჯიბეში ჩაი-  
ბრუნა, – ძონძებში... – ვატოს შეხედა და ნიკაპი აუკანკა-  
ლდა, – ეგაა, რა. ძონძები.